ფასი 50 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 52

1920 წ.
დეკემბრის 5

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი.

— საბჭოთა რუსეთი მტკიცედ დარაჯათ უდგას საქართველოს დამოუკიდებლობას და არავის მის-ცემს მისი დარღვევის ნებას (სოვნარკომი).

— ანგორის მთავრობაც ისტორიულ მეგობ-რათ სთვლის საქართველოს და ძლიერ აფასებს მასთან კეთილ-მეზობლურ დამოკიდებულებას. (კიაზიმ-ბეის აზრი).



დათვი და მგელი. (ცხვრებს) საჯაროთ ვაცხადებთ და ვფიცავთ ქვეყნის წინაშე, რომ გვიყვარხართ, გვიყვარხართ გაგიჟებით და ვერავინ გაბედავს თქვენს ხელის ხლებას!

ცხვრები. (გულში) ესენი არა სტყუიან: მართლაც, ძალიან უყვართ ჩვენი მწვადები.

წლის თავი

რედაქციის ოთახში სადღესასწაულო სული ტრიალებდა.

დაწყებული ჩვენგან, თანამშრომლებისგან, ვიდრე უკანასკნელ სარედაქციო კალათამდე— „ყოველთა და ყოველსავე“ უტყუარი სიხარულის ბეჭედი აჯდა.

სუფრა გაშლილი იყო და მონადიმეებს ელოდა: „ეშმაკის მათრახის“ გაუყიდავი ნომრების კოხტად დაფენილ ფურცლებზე მხატვრულად ჩაემწკრივებიათ გირვანქა ნახევარი შავი პური და ნიორ-ნაირი გემრიელი საჭმელები: ძეხვები, შემწვარი ინდოურები და ქათმები, ჩაზუბზუბებული იხვები, ორაგული, ახალი ხიზილალა და შვიდნაირი მაგარი და ტკბილი სასმელები. შავი პური ნამდვილი იყო, ხოლო დანარჩენი საჭმელები და სასმელები—მხატვარ სანდროსაგან დახატული, მაგრამ ისე ხელოვნურათ, რომ ნამდვილისაგან არაკრით განსხვავდებოდა: ეს კია - ჭაბა-სმა არ შეიძლებოდა მათი.

ჩვენს ვეებერთელა ბუხარსაც მჯიდროთ გამოეტენა თავისი ნიადაგ დალრენილი პირი გასული წლის განმავლობაში დაწუნებულ ნაწარმოებებით და მოუთმენლად მოელოდა ახანთის გაკვრას, რომ მომენტის შესაფერი ილუმინაცია გაეჩაღებია სარედაქციო ოთახში.

— ყველანი ვართ?—იკითხა ეშმაკმა.

— ყველანი, ყველანი!—გაისმა აქეთ-იქიდან ხმები.

— მაშ სმენა იყოს!

— სიჩუმე! სიჩუმე!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მეგობრებო! — დაიწყო ეშმაკმა: დღეს, ნოემბრის 30-ს, ჩვენს ჟურნალს შეუსრულდა პირველი წელიწადი. დღეიდან ჩვენთვის ახალი წელი იწყება. მოგილოცავს ახალი წელიწადი!

— გმადლობთ! გმადლობთ! აგრეთვე შენთვისაც!—შესძახეს ყველა მხრიდან.

— შარშან ამ დროს იშვა ჩვენი ჟურნალი,— განაგრძო ეშმაკმა: წინაადმდეგ ბუნების საერთო წესისა, ჩვენს ჟურნალს იმ თავითვე კარგა მახვილი კბილები დაჰყვა... მაგრამ აბა, ჩვენ, მშობლები, რაჯდამფასებლები ვართ შვილისა-კარგისა! ეს საქმე უცხოებს უფრო შეჰფერისთ. მაშ, წავიკითხოთ ის მოსალოცი დეპეშები, ჩვენს რედაქციას რომ მოუყიდა წლისთავის აღსანიშნაოდ... გთხოვთ, სუფრას მოუსხდეთ, თან ყური დამიგდოთ და თანაც ამ მშვენიერ საჭმელებს შეექცეთ!

ყველანი სუფრას მოუსხდენ.

ეშმაკმა წინ დაიდო დეპეშების კარგა დიდი შეკვრა და ბრძანა:

— გააჩაღეთ ბუხარი!

ასანთის ალმა ფრთხილად მოლოკა ვინმე „ნაპოლეონიშვილის“ თხზულება, დაიწუნა, გვერდი აუხვია და „ძგიმიძგურისპირელის“ ნაწარმოებს შეურუჯა ცალი კუთხე. უცებ ალმა ძლიერ იფეთქა და ერთბაშათ ააბრიალა ბუხარი.

— ეხლა დავიწყოთ!—გამოაცხადა ეშმაკმა: პირველი მოლოცვა სოციალისტურ რუსეთიდან მოსულა. გთხოვთ მოისმინოთ: „Какъ вашему журналу нонче юбилей, гонсь одинъ годъ выходить, то мы желаемъ тебя по нашему, по коммунистическому поздравить и разные федеративные вожеланія отпустить: ни дна вамъ, ни покрышки, зубоскалы вы, сукины дѣти! Погодите ужо! Напоретесь на нашъ социалистическій штыкъ. Не до смѣха тогда вамъ будетъ! Главкомпрохвостъ Миколай Тыква“. შემდეგ მიწერილია: „Подъ скрипку. Благодари Бога, что какъ мы есть передовой пролетаріатъ, то не велѣно мативировать. Тыква“.

— მაშ უპირველეს ყოვლისა, მეგობრებო,— განაგრძო ეშმაკმა—გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და მის წარმომადგენელს მიკოლა ტიკვას, რომელთაც არ დაიზარეს თავი და ყოველმხრივ ხელი შეუწყეს ჩვენი ჟურნალის წარმატებას გასული წელში. გთხოვთ ეს სადღეგრძელო რუსული „სმირნოვკით“ დალიოთ და ხიზილალა შეატანოთ.

ჭიქები საოცარის სისწრაფით დაიცალა და ეშმაკმა დეპეშების კითხვა განაგრძო:

— „ოსმალეთის ხალხი აღტაცებით ეგებება მალალ-ნიჭიერი ჟურნალის „ეშმაკის მათრახის“ ბრწყინვალე დღესასწაულს. უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ პირადათ ჩემგან, ჩემის მთავრობისა, ჯარისა და ერისაგან და ავრეთვე მრავალტანჯულ სომხეთის ხალხისაგანაც გულწრფელი მოლოცვა დღევანდელ ზეიმის გამო. ბრძანება მაქვს გაცემული, რათა ოსმალოს ყველა ოჯახმა დაუყონებლივ შეიძინოს თქვენი სახელ განთქმული ჟურნალის სრული კომპლექტი და სამღვთო წიგნთან დათვალოს წმინდა კურანთან ერთად. ქართველი ხალხის გულწრფელი ისტორიული შეგობარი და თქვენის მწერლობით აღტაცებული და განცვიფრებული ქემალ-ფაშა“.

— გაუმარჯოს ქემალ-ფაშას!—დასძინა ეშმაკმა: ვინაიდან ოსმალები ღვინოს არა სვამენ, ეს სადღეგრძელო კონიაკით უნდა დალიოს და შესატანებლათ ლორის ძეხვი უნდა იქმნას გამოყენებული!

— გაუმარჯოს ქემალ-ფაშას! — დასძახეს სხვებმაც და ერთბაშათ დასცალეს ჭიქები.

თაგუნა.

(დასასრული შემდეგ).

ბოდვა.

ცისფერი მტვერი. თეთრი წვიმა. ცივი ქარ-ბუქი.
ტროცკი. ჩერჩილი. მოსკოვი და ქრელი ანგორა.
ქლექიან მთვარეს ყელს უკოცნის მზის მკრთალი შუქი.
განწირულ ბარონს ცრუ პარიზმა ვერა არგო რა.

—

ჩრდილოეთიდან თვალებს გვინთებს წითელი მგელი.
აღმოსავლეთით მელა ტკბილათ გვესაუბრება.
დასავლეთიდან მოღუღუნებს ცბიერი გველი...
თოვს. ქრის. წვიმს. ყინავს... ღმერთი ჯავრობს ..ხდება ბუნება.

—

საბრალო ღვდლები!.. განკითხვის დღე დაუდგა ბერებს.
რუსთველის პროსპექტს კვლავ სტკეპნიან პარაზიტები.
მთავარ სარდალი რათ გაექცა გურულ ესერებს?
მსუქან კურკანტელს ეხვევიან ზამთრის ჩიტები.

—

პატიოსნება ამას წინათ შესჭამა თხამა.
მოკვდა სიმართლე „ხელის ჰუჭყი" კოშკებს აშენებს.
პირმოთნეობის ცრემლმა მიწა უხვად დანამა.
და... პროტექცია ნათლი-მამას მთებზე აჰენებს.

—

ცისფერი მტვერი. თეთრი წვიმა. ცივი ქარ-ბუქი.
ტროცკი. ჩერჩილი. მოსკოვი და ქრელი ანგორა.
ქლექიან მთვარეს ყელს უკოცნის მზის მკრთალი შუქი.
განწირულ ბარონს ცრუ პარიზმა ვერა არგო რა.

d

ომის ამბები.

წერილი III

X მანდატი წინა აზიაზე

ყანწისტები ჩვენთან ბრძოლაში ათას გვარ ხერხს მიმართავენ; ხან გიჟებათ მოაქვთ თავი, ხან გადარეულებათ, ხან კიდევ (რასაკვირველია უფრო ხშირად) გენიოსებათ.

ეს ალბათ იქიდან მომდინარეობს, რომ ვიღაც ღვთის პირიდან გადავარდნილ მეცნიერს დაუწერია: გენიოსობას და შეშლილობას ერთმანეთში ნათესაობა აქვთო.

მართლაც იშვიათია ისეთი შეშლილი, რომელიც თავის თავს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ღმერთად მაინც არ სთვლიდეს. ჩვენი ყანწელები, რასაკვირველია, იმდენათ გიჟები არ არიან, რამ დენათაც ჩვენს მოსატყუებლათ თავებს იგიჟიანებენ, მაგრამ ოინებით ისინი ვერ მოგვატყუებენ.

აი ბატონებო ინებეთ და მოისმინეთ რასა სწერს გაბრიელ სირბაძე „ბერიკადის" მეორე ნომერში:

„ჩვენ პირველათ მოვითხოვეთ დაზიტანი *)
ჩვენ ვიქნებით მანდატორი წინა აზიის."

პატივცემული ყანწისტები რომ თავს იგიჟიანებენ და ჩვენს მოსატყუებლათ ებღაუჭებიან „წინა აზიის მანდატორობას" ეს ყველასათვის აშკარაა. თუ მართლაც მათი მიზანი მანდატორობა იყოს, აღგებოდენ და პირდაპირ განაცხადებდენ სურვილს სომხეთის მანდატორობაზე. მთელი ქვეყანა მადლობის მეტს მათ არაფერს არ ეტყოდა და სომხეთიც გადარჩებოდა მანდატორების მუდმივსა და ამაო ძებნას. მაგრამ ეს ასე არ არის. ფუტურისტებს სულ სხვა მუცლის გვრემა აწუხებთ, ისინი აღმშენებლობითითი მუშაობის უნარს სავსებით მოკლებულნი არიან. მათი საქმე ნგრევაა.

XI. ერიდეთ, დიასახლისებო!

ჩვენ სიტყვებს უთავბოლოთ და უსაბუთოდ არასოდეს არ ვაფრქვევთ.

თუ რასმე ვიტყვით, ამისი საბუთიც ჯიბეში გვაქვს.

ყანწისტები ყოველ ფეხის გადადგმაზე გაჰკივიან: „ჩვენ ვანგრევთ ამას, ჩვენ ვანგრევთ იმას

---

[1]) ალბათ საჭმელი ჰგონიათ ქიმერიონის სამზარეულოში შანაკაზმი

და სხ. და სხვ.“ დასასრულ მათი ვიცე ბელადი, პაოლო იაშვილი, ბუდეების ნგრევასაც აღარ მალავს. ის „ბერიკადის“ პირველ ნომერში სწერს:

ჩვენ შეგვინგრიეთ ბევრი ბუდეები და ჩავაწყვ...“

დიახ, ეს მოჭორილი არ გახლავთ, არამედ შავით თეთრზე დაწერილი ამბავია. ახლანდელ დროში ბუდეების ნგრევა და იქიდან კვერცხების ჩაწყობა უსარგებლო საქმე არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში დღევანდელ ფასებს კვერცხებზე. ჩვენ, როგორც ყოველი მოგიჟიანება ჩვენი მტრებისა, არც ეს ბუდეების ნგრევა გვჯერა, მაგრამ მაინც მოქალაქობრივი მოვალეობა გვაკისრებს გავაფრთხილოთ ჩვენებური დიასახლისები: ბუდეები უალაგო ალაგას არ დასდგან და საღამოობით ყველა კვერცხები ამოალაგონ. ვინ იცის ახირებული ხალხია და იქნება მართლაც მოეხალისოთ ბუდეებზე ნადირობა. მე შენ გეტყვი პასუხი აგოს! იტყვის „გიჟი ვარო“, მიდი და უმტკიცე რომ გიჟი არ არის!!.

მაშ ერიდეთ, დიასახლისებო!

XII. საგულისხმიერო განცხადება.

ქართულ მწერლობაში დიდი კორიანტელი იყო ატეხილი—იმის შესახებ, თუ ვინ მოინელა ილია და აკაკი. ბევრი, რასაკვირველია სრულიად უსამართლოდ, ამაში ბრალს ფ. მახარაძეს სდებდა. ეს უკანასკნელი ამის გამო საქართველოდან გაიქცა და უცხოეთს შეაფარა თავი.

დღეს „ბერიკადაში“ ვკითხულობთ ერთობ საგულისხმიერო განცხადებას.—პირველი ნომრის მოწინავეში სიტყვა-სიტყვით ასე სწერია.

„ჩვენთან ბრძოლაში დაეცნენ ისეთი დიდი
მგოსნები, როგორც ვრიან იდია და აკაკა“.

ჩვენის აზრით, ამ, შეიძლება უნებლიეთ, მაგრამ გულწრფელი განცხადებისათვის დაუყოვნებლივ ყურადღება უნდა მიექცია რესპუბლიკის პროკურატურას, მაგრამ ამ მხრივ ფუტურისტებს ზურგი ერთობ უზრუნველყოფილი აქვთ. მთავარი პროკუროორი ქართული იუსტიციისა, სანდრო ყანჩელი, ერთი მათგანია და რასაკვირველია აკაკის დაცემის ბედი აღარ იპყრობს მის ყურადღებას.

„ბერიკადი“-ს მესამე ნომერში ეს პატივცემული გვამი, სანდრო ყანჩელი, ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავეთა კვალს ჩაუდგეს და ბოროტმოქმედება სინათლეზე გამოიტანოს, ჩვენდა თვალის ასახვევათ და გულის მოსაკლავად სწერს:

„მოვაშორე თვალი მთვარეს,
ჩავასვენე ტუჩი ღვინოს.
ოქროს ფეარად მოელვარეს
ჩემი სულის სწრაფ მამინოს“.

ღვინოში ტუჩის ჩასვენებას ჩვენ რასაკვირველია არავის არ ვუშლით, საჭიროების დროს ჩვენ თვითონ ვასვენებთ შიგ ტუჩებს, მაგრამ საქმე მარტო ჩასვენებაში ხომ არ არის. აი მოისმინეთ, ქვევით, ბატონი სანდრო ყანჩელი რასა სწერს:

„მოშეიენა უტხი ძალა,
ამანთო და ალმიტაცა;
შემოეძახე „თარიალა“
დავანგრიე მიწა და ცა“.

ვის არ გაუგონია ალექსანდრე მაკედონელის დიდკაცობის შესახებ, მაგრამ სკამების ბედსაც ბევრი დასტიროდა.

ასეა ჩვენი საქმეც! ჩაასვენეთ ბატონებო ღვინოში არა თუ ტუჩები, თუ გნებავთ თავიც, მაგრამ საბრალო გორმა რა დაგიშავათ? რისთვის დაანგრიეთ ეს მშვენიერი ქალაქი? განა ეს არის სამართალი? ამას უნდა შეებოდეს ის ზე მოქალაქე, რომელსაც სამართლიანობის მთავარი ძარღვი ხელში უჭირავს?! არა ბატონებო! ეს არ არის კარგი საქმე! ანგრევეთ მიწას, ანგრევთ ცას, მერმე სად წავიდეს ადამიანი, ხალხი?.. ჩვენ ჯერ ჯერობით არ ვართ სავსებით დარწმუნებული სანდრო ყანჩელის მიერ მიწისა და ცის ნგრევაში, ვფიქრობთ ეს მოგიჟიანება და ტრაბახია, თორემ წინადადებას მივცემდით იუსტიციის მინისტრს, ბ-ნს არსენიძეს, რათა მას აღეკრძალა ყანჩელისათვის „ტუჩების ღვინოში ჩასვენება“.

მიწის ძვრის მოხდენისა და ზეცის ჩამონგრევის შემდეგ ბ-ნი სანდრო ყანჩელი ასე ათავებს თავისს „ბელლლადას“:

„მთვარე ნისლში მიიმალა [2])
მოერია მთვარალი ძალი.
„თარი-არალე-არალა“
მღერის ღმერთი, მღერის რწეული“.

აი ბატონებო საკუთარი სიტყვები, საკუთარი აზრი და საკუთარი განზრახვა ჩვენი მტრებისა! თქვენ ალბათ წარმოდგენილი გექნებათ, როგორ გამოჰყურებენ სანდრო ყანჩელის მიერ დანგრეულ დედა-მიწას ლაჟვარდოვანი ზეცის ღია კარებიდან ციურნი მომღერალნი: ღმერთი და რწყილი, და როგორ შეწყობილი ხმით მღერიან დუეტს: („თარი-არალა-არალა“-ს) ქვეყნის განადგურების შესახებ.

დედა-მიწის და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ტრაღედია უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ როცა ასეთ ბარბაროსობას თვით პროკუროორი სჩადის, აღარავინ რჩება, რომელმაც გამოიძიოს დანაშაული სანდრო ყანჩელისა, როგორც პიროვნებისა და თანაც ფუტურისტული პიროვნებისა.

ასე, უნდა შერჩეს მას „დედა-მიწისა და ცის დანგრევა“.

ისტორიკოსი.

(შემდეგი იქნება).

---

[2]) ოღონდაც! მიიმალებოდა მაშ რას იზამდა, როცა ფუტურისტები მზეს „აორსულებენ“ და მთვარეს კი „ამაკებენ“.

საგარეო საქმეები.

უხსოვარის დროიდან საქართველოს იცნობდენ დედა მიწის ზურგზე ამა თუ იმ კუთხეში მოკალათებული სახელმწიფოები. პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ერთობ ყოჩაღი და ხელ-მარჯვე გამოდგა როგორც ბრძოლაში, აგრეთვე შრომაშიაც. წარმოიდგინეთ იმასაც კი ამბობენ, რომ მას ცალ ხელში გუთანი ეჭირა, ცალში ხმალი და ორივე საქმეს ჩინებულად აკეთებდაო.

ამ უკანასკნელმა საერთაშორისო ომმა ისე დაუბნია ჭკუა მასში მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სრულიად დაუკარგა ცნობიერების უნარი. რასაკვირველია ომის გავლენა უფრო მეშიშარაზე უფრო მეტი იქნებოდა და ეს ნათლად გამოირკვა საქართველოს ცნობის საკითხში.

გერმანია ყველაზე უფრო ღონიერი გამოდგა ომის დროს. ამიტომაც მას სხვებზე ადრე დაუბრუნდა ცნობიერება და საქართველოც იცნო.

საფრანგეთი და ინგლისი თანდათანობით იკრეფენ ცნობიერებას და ამბობენ დამაცადეთ სული მოვიბრუნოთ და ნახავთ თუ ვერ გიცნოთო.

ამერიკას, ოქროსფეხიან ამერიკას, ისე დაუბნია დავთარი ომის ქარტეხილმა, რომ სრულიად ველარავის ვერ ცნობილობს. საქართველოს ვერ ცნობა მისგან რაღა გასაკვირია, როცა მის მიერ შეთხზულ მუხლებსა და ნაციათა ლიგასაც ველარ სცნობს.

ჩვენს საგარეო საქმეთა კომისარს შალიკოს ამ მხრივ დიდი შრომა და დავიდარაბა გადასწყდა.

როდესაც ის ანტანტის ბურჯებმა ინახულეს, მათ ერთობ უწყინარ და არა საყურადღებო ბიჭაო მიიჩნიეს.—მოდი ერთი ჩავაფაროთ თავში ამ მეტიჩარასო; ჩაუჩურჩულეს ერთმანეთს.

მაგრამ უეცრად შალიკოს თავზე ორი წვეტიანი რქა ამოიმართა და ჩაფარებაზე მეგობრებმა უარი სთქვეს.—ბიკოს! ეს რა ახირებული ვინმე ყოფილაო! წარმოსთქვეს მეგობრებმა და შალიკოსადმი სიყვარულის გრძნობით აღიგზნენ.

ის მიიწვიეს პირველსავე კონცერტზე, სადაც მღეროდენ საბჭოთა რუსეთის ახალ „ნოტებს“ ნოტები ისე მაღალი და ბურჟუაზიული ხმისთვის მიუწდომელი გამოდგა, რომ ვერც ლოიდ-ჯორჯი და ვერც კლემანსო ვერ აჰყვა.

დასასრულ კონცერტისა მილერანმა ჩვენს წარმომადგენელს ეროვნული დროშა გადასცა და უსურვა მისი ნაყოფიერი მუშაობის განგრძობა.

— ქართველები ყოჩაღები ხართ, სიზარმაცე რომ არ გიშლიდეთ ხელს, განაცხადა პრეზიდენტმა და შალიკოს ეშმაკურათ ჩაუცინა, თითქო ეუბნებაო—ეს შენ შეგეხება უმთავრესად ჩემო კარგო.

ამბობენ.

ამბობენ რაც რომ ქვეყნადა
კვამლი, სიმყრალე ხდებაო,
ის ადის ცისა სივრცეში
და იქა იწმინდებაო.
ეს მართალია, როგორც სჩანს,
ჰაერი როცა მძიმდება,
აიწევს მაღლა და შემდეგ,
ბოლოვით ჩამოწვიმდება.
მაგრამ, ამბობენ ამასაც,
ზეცას რაც ცოდვა ხდებაო,
იგი ჩამოდის ქვეყნადა
ისიც აქ იწმინდებაო.
ეტყობა ადირბეჭანსა
ცოდვა მიუძღვის ზეცასო,
ლენინს ჰკოცნიდეს ფეხებზედ,
ტანზეც წითელი ეცვასო.
ეგონებ სომხებიც არიან,
დამნაშავენი ზეცისო;
რომ ქვეყნად იწმინდებიან,
მსხვერპლნი ხდებიან მზეცისო.
ჩვენკენაც ლამობს წამოსვლას,
როგორც გავიგე მუქარა.
მგლისა დაჭერას ნატრულობს,
ნეკრმა თხა გაასუქა რა.
ამბობენ ვინც კი სხვის რჩევით,
ხახუტ ხიდს გავა ტვირთითო;
ხიდი ჩატყდება უეცვოთ,
და დაირჩობა ზვირთითო.

ან. განჯის-კარგელი.



საერთაშორისო თვალთმაქცი.



ლენინი. ბატონებო! ჩემი ხელოვნება დამყარებულია არა რაიმე მოტყუებასა და ეშმაკობაზე, არამედ ჭეშმარიტ მეცნიერულ საფუძველზე. გთხოვთ, ყურადღებით უცქიროთ ყოველსავე, რაც თქვენს წინაშე მოხდება: აი, ამ გალიაში მე მყავს მოთვინიერებული მხეცები რუს-კომუნისტის ჯიშისა, ხოლო ამ ფარდას რომ ავხდი, თქვენ დაინახავთ...



მშვენიერ ქალაქს, შესანიშნავის შენობებით, ქუჩებით, სრა-სასახლეებით, საზოგადოებრივი დაწესებულებებით, წეს-რიგითა და მშვიდობიანი ცხოვრებით. ეხლა მე ამ ფარდას ვხურავ,



ხოლო გალიიდან ამომყავს ერთი მხეცთაგანი—დაიხსომეთ, მხოლოდ ერთი!—და ამ ქალაქში ვსვამ...



ალე-ჰოპ! ფარდა ავხადე და თქვენ ჰხედავთ, რად გადაქცეულა ამ ერთი თვალის დახამხამებაში მშვენიერი ქალაქი: აღარც ქუჩები, აღარც სასახლეები, აღარც წესრიგი და მშვიდობა. სანაცვლოთ—ხოცვა ჟლეტა, ნგრევა-მსხვრევა, ცეცხლი და სიკვდილი! აი, ბატონებო! მე გავათავე! გამეორებით გთხოვთ, თვალთმაქცობით ნუ ჩათვლით ყოველსავე იმას, რაც ეხლა იხილეთ.

ჭორიკანა ინგლისი და მეზობლების მოყვარული ფაშა.



„ტაიმსის“ რედაქტორი. (დურბინდით გამოიცქირება ლონდონიდან ანატოლიისკენ). ბ-ნო ქიამილ, როგორც ვხედავ თქვენ არბევთ სომხეთს და ემუქრებით საქართველოს?

ქიამილ-ფაშა. არაფერი მაგის მსგავსი, პატივცემულო რედაქტორო. თქვენი დურბინდი განზრახ ამახინჯებს სინამდვილეს. მე ბევრჯელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რომ გულითადი მეზობლური განწყობილება მაქვს სომხებთან და ქართველებთან, მეტადრე სომხებთან!

შექანჭალიეშვილის ლექსები

ჰო, ჰო, ჰო!.. როგორ აგრილდა...
მე მცხელა... ნეტავ რა მომდის?
მაგრამ ოფლის წილ ცრემლები
ნეტავი რატომ ჩამომდის?

—

მთა და ბარს თეთრი პერანგი
შეხედე, როგორ უხდება?
ისე გაჭირდა ცხოვრება
რომ ცხვარი მგელს მიუხდება.

—

შიმშილი სულმოკლე არის,
მოითმენს ვინც მაძღარია...
ცხვარი ცხვარია ძმობილო,
და თუ გაცხარდა—ცხარია.

—

ნეტავი ეს ხის ფოთლები
რო ცვივა,—იქცეს ჩირადა,
შენ ვით მიშველი—სხვის ჭირი
რომ გიჩანს ღობის ჩხირადა.

—

შენც კი ხედავ, რომ არა ვართ
ჩვენ, ქართველი, უზრუნველი,
ხშირად მშრალზე დაგტოვებენ
როცა სხვისგან რამეს ელი.

—

ეხლა, ხედავ: ქვალონში და
აჯამეთის ულრან ტყეში,
შეშას სჭრიან თავ-განწირვით
ამ სუსხიან ზამთრის დღეში.

—

მოვითმინოთ.., ვიდრე მოვა
ვიყოთ შეშის მოლოდინში;
თუ შეგვცივდეს, გენაცვალე,
ჩავწვეთ დღისით თბილ ლოგინში.

—

სტამბოლში ღელავს შავი ზღვა,
ტალღა აქა-იქ აგორა;
აგორა ალმა დალმა და
ამოაგორა ანგორა;

—

ტახტზედა დასვა ქემალი,
მიზეზობს, ჭირვეულია.
ანტანტა ტკბილათ უყვავებს,
ლამის მოულბოს გულია.

—

სხვის შესახედათ ლოთიდი,
ოსმალეთს უცაცხანებსა;
ტუქსავს და—თანაც ქონს უსობს
თავზე ფაშებს და ხანებსა...

—

გველი შხამვას მიატოვებს?
მგელი სუსტ ცხვარს შეიცოდებს?
ოსმალეთი მშიერ სომხებს
სანოვაგეს მიაწოდებს?

—

ჰა, ჰა, ჰა, ჰა... მეცინება,
შეგეყაროთ სურდო ყველას...
ქემალი სომხეთს პირდება...
ეკონომიურად შველას!!

—

განა ეს გაგიკვირდება
კატა თაგვებს დასცინოდეს?—
მტერი რომ შეგირიგდება,
აი, მაშინ გეშინოდეს!?.—

—

მაშ, ქემალმა ეს სომხეთი
ჩიჩერინს რად დაასმინა?
—გვაწიოკებს სომხეთიო—
შეხე, ქათამს გაეცინა!..

—

პატარძალო, გათხოვებენ,
ნუთუ აღარ გაგიგია?
ბათუმს ინგლისს ცოლად რთავენ,
მაჭანკლობენ, რა რიგია?

—

სიძე მსხვილი და მდიდარი,
ჩიჩერინი კი შაფერი...
იყო და არა იყო რა,
იყო ერთი არაფერი...

—

თუ მტერს, ატყობ, ვერას ავნებ,
მაინც გაჰკრა უნდა კვანტი;
ლენინი ჯორჯს დუელს უწყობს,
ქემალია სეკუნდანტი...

—

ადგილად კი დუელისთვის
დაუნიშნავთ მათ ანგორა.
აქეთ გორასა ცხვირსა ჰკვრენ,
შეინძრევა იქით გორა.

—

ჩიჩერინმა კერზონს ნოტით
კამათლები გაუგორა;
ბათუმია მოსაგები,
თუ დუშაში გააგორა.

—

შენ უგორე ძმავ ინგლისსა
ვით აქამდე კამათლები,
ჯორჯმა თუ რამ გაწყენია,
გიორგის რას ემართლები...

—

რა ცუდია სამოწყალოდ
სხვისთვის ხელის გაწოდება,
ვინაც ესქნას—ალბად უჭირს,
უნდა გროშის მიწოდება.

—

ქართველ სტუდენტს კუჭი ეწვის,
როგორ გახდეს მეცნიერი.
მოწყალებას სთხოვს თვის ერსა,
შეწყალებს კიდეც ერი.

—

მაგრამ რად ვხდით სამოწყალოდ,
ჰხმას მოვეპყრათ ყურადღებით.
ერი თავს გაიჯანსაღებს
მათ სულის გაჯანსაღებით.

—

ჰარალო, ჰარი. ჰარალო,
ვინ შესჭამოს მკვახეთ ია.
სულ მთლად გასპეკულიანტდა,
Складъ общества „Кахетія“.

—

კი ნურავის გეწყინებათ
თუ რომ დამრჩეთ შენახური,
ყოველ დღე ფასს რად იმატებს
ბოთლი ღვინო, კახეთური?

—

აღარ დავლევ... ველარ დავლევ
მიმიწვდება განა ხელი?
მაგრამ ვსთქვათ მუცლის სახადმა
ამომთუთქა მე მუცელი;

—

და ვსთქვათ ეკიმს დაუძახე,
მოვიყვანე გომართელი;
ვსთქვათ, რომ, წამლად გამიპირდეს
ვსვა კახური მე წითელი.

—

ვა, ვა, ჯიმა, რით ვიყიდო
ერთი ბოთლი მე კახური...
ერთი წვეთიც ვერ ვიხილო...
ჩქიმი დუდი უბედური.

—

ბიკო, ეს რა ამბავია,
სად ვცხოვრობთ და რომელ დროში.
თავის კოსრო რომ წაგაძრო
არ დაჯდება ერთი გროში.

—

ქალაქის თაგვს სოფლის თაგვი
შეხე, მიყავს თვის სოროში.
თფილისში თუ ჩამოხვიდე,
ტყავს გაგხდიან სასტუმროში.

ჰარული, ჰაუ, ჰარული,
გამშორდით კუდიანებო.
სპეკულიანტობა დავიწყო???
სამსახურს თავი ვანებო???

—

აგრილდა, გარედ ყინავს და
კალოში როგორ ჩავიცვა.
ვაი, თუ ფეხი გამისხლტეს,
დავეცე, ზურგი ავიწვა??

—

წელი წელს მისდევს ჩაქ-ჩაქით,
დღენი კი დღეზე მიდიან..
მოქალაქენი იაფ ნავთს
ფუთს ხუთას თუმნად ჰყიდიან...

—

გაივლის ჟამი... და ეხლაც
ყინვამ სახლს ხმლები დაჰკიდა...
ზოგ-ზოგმა შეშა მიიღო.
შემდეგ კარგს ფასში გაჰყიდა...

—

რა ცულლუტია დრო ჟამი,
რა გაიძვერა, ეშმაკი...
ორმაგ რაციონს მიჩვეულთ
განა დღეს აძღებს, ერთმაგი?

—

ვაი, რა ცხელი დარია,
ამიწვა ცხვირის კენწერო...
თითები გამიყირმიზდა...
არ შემიძლია აწ ვწერო...

შექანჯალებული.

რისთვის ვიღებ ქრთამს

აღსარება.

ძღვნათ ნინა აიოლოს.

მე პატარა კაცი ვარ. ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე. „გოროდის კლასის“ გათავების შემდეგ ვმსახურობ. ხან „სუდში“, ხან ხაზინაში, ხან „პოდატნო ინსპექტორთან“. უკანასკნელათ ქუთაისის „კაზიონი პალატაში“ ვმსახურებდი. დაკეტვის შემდეგ დავრჩი უადგილოთ. ქართველების ბათუმში შესვლას ბათომი არ უცდიდა ისე მოუთმენლათ, როგორც მე. ველირსე ამ დღესაც. სამსახურიც ვიშოვნე. რამდენიმე თვეა ბათუმში ვარ და ვმსახურობ. მაგრამ ასეთი გაჭირვება, ასეთი აუტანელი მდგომარეობა პირველათ მხვდება ჩემს სიცოცხლეში. დედა, ორი შვილი და ერთი ცოლი. თვეში 5.000 მანეთი ჯამაგირი. საშინელ მდგომარეობაში ჩავვარდი. ჩემს არსებაში საშინელი ბრძოლა დაიწყო: ორი ხმა ეომებოდა ერთმანეთს. ერთი ხმა ჩამძახოდა:

— რას იტანჯები, რას წვალობ?!. მოიკალი თავი და გათავდა საქმე.

მეორე ხმა კი მაიმედებს:

— „პირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსაო“, ნუ ლაჩრობ. ჯამაგირი ცოტა გაქვს? გაანძრიე ხელი. გაშალე მარცხენა ჯიბე.

არ ვიცოდი რა მექნა. ამეღო ქრთამი?! სირცხვილია. ძველ დროში რომ ვიღებდი, ძველი რეჟიმით ვიმართლებდი თავს. ახლა სულ სხვა დროა. მაგრამ ვერც თავის მოკვლა გავბედე. დამენანა ცოლი, შვილი, დედა. გადავწყვიტე ცდა. ერთმა გარემოებამ გამიწია დახმარება. მუშათა მაგიდაში შაქარი, ბრინჯი, ჩაი, მარილი და სხვა რამეები დაარიგეს. შეგვპირდენ, რომ საზამთროთ შეშა გვექნება. ვიფიქრე სიცივით მაინც არ დავიხოცებით თქო. მაგრამ არ შეგეპამოთ პირმა! მიდის ნოემბერი, დადგა ზამთარი. სადაა შაქარი, ჩაი, ბრინჯი, სადაა შეშა! ერთხელ მაინც არ მოეცათ! ორი წელიწადია ჩაი არ დამილევია. და გემოც დავიწყებული მქონდა. ახლა ეკანკალებ გაყინულ სახლში—უჩაიოთ, უშეშოთ. გირვანქა პური 15 თუმანია ბაზარზე. მუშათა მაგიდის პური ბავშვს არ ყოფნის. ტანისამოსზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც მქონდა შეკერილი, წინანდელი ნაშოვნი შემომაგჯა ტანზე. ახლა დავდივარ მათხოვარივით ჩამოგლეჯილი. ქუჩაში ჯიბიდან ხელი ვერ ამომიღია. რომ ამოვიღო ვინმეს ეგონება თხოულობსო. რომ ითხოვო მოცემით მაინც არავინ არაფერს არ მომცემს, თავი რაღაზე შევირცხვინო.

მეტი საშველი არ მაქვს უნდა ავიღო ქრთამი. ბევრს არ ავიღებ. იმდენს, რამდენიც საზრდოთ მეყოფა. მართალი რომ გითხრათ ავიღე კიდეც ამას წინეთ 5,000 მანეთი. ერთი საქმე გავაკეთე და 5,000 მან. ე. ი. მთელი თვის ჯამაგირი. მეტი გამოსავალი არ მქონდა, სიცივით ვიხოცებოდით. მაშინვე 10 ფუთი შეშა ვიყიდე. ათ დღეს მაინც თბილათ ვიქნები. მანამდე ან ჩამივარდება კიდევ ვინმე ხელში, ანდა მთავრობის საგანგებო რწმუნებულის შუამდგომლობას დაამტკიცებენ ჯამაგირის მომატების შესახებ.

გრ. ატჩაიანი.



გვარდიიდან გავდივარ

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხანაგო რედაქტორო!

მე ამდენ ხანს მენშევიკი ვიყავი და ვმსახურებდი სახალხო გვარდიაში, მაგრამ ამ ბოლო დროს დავრწმუნდი რომ მე სასტიკად ვსცდებოდი...

მენშევიკები ვერ იცავენ ღარიბ-ღატაკთა ინტერესებს და ყოველივე მშრომელის უფლებები ფეხ-ქვეშ ითელება... წელიწად ნახევარია გვარდიაში ვარ და ჯერჯერობით სახეირო არაფერი მინახავს... ჯუღელის რეჟიმის წყალობით არა თუ ვინტოვკის გაყიდვა, მილიონი რა არის, ერთი მილიონის მოპარვაც კი შეუძლებელია, არა თუ მოქალაქის, კომისარის გალახვაც კი არ შეიძლება... უბრალო ტრამვაის კონდუქტორსაც კი დედას ვერ შეაგინებ... ყველაფერი ასე უკუღმართად არის მოწყობილი, უყურებ ამ უსამართლობას და გული ზიზღით გევსება... ეს ვებერთელა თბილისის ქალაქი, რამიშვილის მენშევიკურ სამარისებურ სიჩუმით არის მოცული, ქუჩებში არა თუ ხმაურობა მაუზერის გასროლაც კი აკრძალულია. მუშებში აგიტაციაზე ხომ მეტია ლაპარაკი, იქ პროვოკაციაც კი სასტიკად იდევნება, გლეხებში არა თუ რაიმე ორგანიზაციის მოწყობა, თვით აჯანყებაც კი კანონის გარეშეა გამოცხადებული... მე ამდენხანს ბრმად ვემორჩილებოდი მენშევიკურ მთავრობას და მის სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, მაგრამ რაც მოხდა რუსეთში, ადერბეიჯანში, სპარსეთში, და განათლებულ თურქესტანში, იმის მაგვარს აქ ვერაფერს ვხედავ, რისთვისაც მენშევიკობას თავს ვანებებ, გვარდიიდან გავდივარ და ვეწერები ღარიბ-ღატაკურ-მუშურ-გლეხურ-დიქტატურულ-რევოლიუციონურ-რუსულ-სპარსულ- ავგანისტურ-ბალშევიკურ-ქემალისტურ-კომუნისტურ პარტიაში...

რ. ჯიბილ.

სანიმუშო სიყვარული.

„სულ რაღაც 25 წლის წინათ სომეხსა და ოსმალოს ტკბილათ და მშვიდათ ეძინათ ერთ ბალიშზე“.

(კიაზიმ-ბეისთან ბაასიდან).



ოსმალო. რა აწუწუნებს ევროპას! ამაზე უკეთესი მეგობრული ცხოვრება განა შესაძლებელია?

ბრძოლია იდ ისათვის.

სამსახურისკენ მივეშურებოდი. გადავწყვიტე ეხლა მაინც გულდადებით ვიმუშაო და შევასრულო ის საქმეები, რომლებიც ჩემი მაგიდის უჯრაში მიცდიან ამდენი ხანია.

— კოტე, დაიცა! როგორ მირბიხარ, კაცო! მომესმა უკანიდან ვანოს ხმა.

— კაცო, როგორ მირბიხარ? განაგძო ვანომ, — მთელი საათია მოგდევ და ვერ დაგეწიე—გამარჯობა!

— გაგიმარჯოს! რა დაგემართა ვანო, როგორ სხვა ფერზე ხარ?

მაშ როგორ ვიქნები, ხვალ ჯვარს ვიწერ ქუთაისში. შენ უსათუოთ უნდა წამოხვიდე, ჩემო კოტე!

— უსათუოდ უნდა წამოვიდე რა, ჩემზე ხომ არ იწერ!

— კაი თუ ძმა ხარ, ხუმრობას თავი დაანებე. დღესვე უნდა წავიდეთ. შენ იქმნები ჩემი მეჯვარე და რა თქმა უნდა თამადაც.

— ვისზე იწერ კაცო ჯვარს?

— აი მარგველიშვილის ქალზე, ვაროზე. გახსოვს, ერთ დროს შენი სიმპატიაც იყო...

— კარგი საცოლე ამოგირჩევია, მოგილოცავ ჩემო ვანო! მაგრამ მე კი გამანთავისუფლე—ვერ წამოვალ...

— რათა კაცო, რა მიზეზია? თუ ფული არა გაქვს...

— არა, ფულს ვიშოვნი, მაგრამ სამსახური არ მაძლევს ნებას, ბევრი საქმეები მაქვს შეუსრულებელი.

— კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს... დიდი ხანია ეგეთი ბეჯითი შეიქენი? თუ პეტრე ივანიჩის გეშინია?

— არც უმაგისობა არის.

— არა უშავს. ეხლავე, ყალბი დეპეშა და მისი ჯანი! და რაც შეეხება შეუსრულებელ საქ-

მეგებს, გაძლევ სიტყვას ზეგ უკანვე გამოგისტუმრებ და იმუშავე რამდენიც გინდა.

დავთანხმდი, რადგან კარგ ქორწილში ქეიფი ძლიერ მენატრებოდა.

სახელდახელოდ შედგენილი დეპეშა ჯიბეში ჩავიდეი და სამსახურში წავედი. წარმოიდგინეთ ამ დილით დაუგვიანებლათ მივედი. ჩემი უფროსი ძლიერ გაკვირვა ამ გარემოებამ. შემდეგ მე მიუახლოვდი უფროსის მაგიდას...

— რა გნებავთ! მკვახეთ შემეკითხა ის...

— პეტრე ივანიჩ! რამე ფერად სამი დღით უნდა გამანთავისუფლოთ... მამა მყავს ძლიერ ავათ; არ ვიცი ცოცხალს მივუსწრებ თუ არა. აი დეპეშა, ინებეთ.

უფროსმა დეპეშა გამომართვა, გადაიკითხა და ცოტა ხნის შემდეგ ირონიულათ მიპასუხა.

— სჩანს მამა თქვენი მკვდრეთით აღმდგარა!

— მომითმინეთ! მამა ჩემს ჯერ ჯვრობით არ უფიქრია სიკვდილი.

— ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს ყმაწვილო. აი თქვენი თხოვნა, როლითაც თქვენ 7 დღის შვებულებას თხოულობდით, მამის სიკვდილის გამო და აი ის დეპეშა, რომელიც ამ თხოვნასთან წარმოადგინეთ, როგორც საბუთი. დეპეშა გადავიკითხე და შევკრთი: იქ ეწერა: „მამაშენი გარდაიცვალა. ვასაფლავებთ ზეგ. ჩამოდი. მიხა.“

შევატყვე, რომ ანგარიში ვერ მქონდა სწორი.

მართალია მე მამიჩემის სიკვდილი არცკი მახსოვს, მაგრამ ამ განსვენებულითაც კარგათ ვსარგებლობდი და მისი ავათმყოფობის ყალბ დეპეშებს უფროსს ხშირათ ვურდგენდი. ეს უკანასკნელი დეპეშა კი აღარ მახსოვდა.

— არა, ბ-ნო პეტრე ივანიჩ! აქ ცოტა გაუგებრობას აქვს ადგილი. მამა ჩემი ჯერ ცოცხალია. ის დეპეშა ჩემი დედის სიკვდილის შესახებ იყო. მე რუსულ ენაზე ვიყავი აღზრდილი... სახლში დედას სულ „მამას“ ვეძახდით. სახლიდანაც ასე მოეცათ დეპეშა.

— ესე იგი თქვენ 3 დღის თავისუფლება გნებავთ?

— დიახ.

— მიბრძანდით...

იმ საღამოსვე ჩემს ამხანაგთან ერთად ქუთაისს გავემგზავრეთ. ვანო და მარო მართლა შეყვარებულნი იყვნენ. მიეშურებოდნენ ეკლესიისკენ რომ მალე ჯვარი დაეწერათ.

— ნუ ჩქარობთ მეგობრებო! ვეუბნებოდი მე — მალე შევასრულებთ ამ წესს და გაგაბედნიერებთ.

— ჩვენ ეხლაც ბედნიერები ვართ. ამაყათ სთქვა ვარომ, და შეყვარებულის თვალით თავის საქმროს გადაჰხედა...

— მე სულელმა აქამდის რათ არ შევასრულე ჩვენი გულის წადილი? წარმოსთქვა ვანომ.

ეკლესიაში, სანამ მღვდელი მოემზადებოდა, ჩვენი ახალ გაზრდები არ ისვენებდენ.

— რას ინატრებ ვანო? ჰკითხა სიყვარულით შემკულმა ვარომ.

— შენს ბედნიერებას.

— ეს ვიცი, არა სხვას რას ინატრებ?

— ბოლშევიკების სამუდამოთ დამარცხებას, რომ იმათ ტუტუცობას ბოლო მოეღოს!

ეს სიტყვები ვაროს ელდათ ეცა. თვალები გაუდიდდა, ლოყები გაუწითლდა და მთელი სახე გადაუსხვაფერდა.

— შენ რა საბუთებით ლაპარაკობ ეგრე? შესძახა მან ვანოს.

— რა საბუთები მინდა? მთელი ქვეყანა მაგისი დასამტკიცებელი საბუთები არ არის ვანა?

— მაშ შენ იმასაც იტყვი, რომ მენშევიკები ბოლშევიკებზე უფრო იდეალური ხალხნი არიან, არა?

— ამას რა თქმა უნდა!

— მეგობრებო! ვსთქვი მე,— ამ პოლიტიკურ კინკლაობას მერმეც მოვასწრებთ. ახლა დრო არის საქმეს შეეუდგეთ ვანო და ვარო გაჯავრებულნი შეჰყურებდენ ერთი მეორეს. მღვდელმა მიიწვია ახალგაზრდები ხელის მოსაწერათ.

ვარომ კალამი ხელში აიღო. ეტყობოდა ღელვისაგან ხელები უკახკახებდა.

— ვანო, ძლიერ გიყვარვარ?

— გეფიცები მიყვარხარ ჩემ თავზე მეტად. უნდა გწამდეს ბოლშევიკების იდეა!

— ამაზე კი უკაცრავათ, ვერ დაგეთანხმები!

— მაშ თუ ეგრეა, მე არა მსურს შენზე ჯვარი დავიწერო, სთქვა ვარომ და კალამი მაგიდაზე დაადგა.

— აბა, მეგობრებო, რა დროს მაგანი. შეუტიეთ იმათ ჩვენ

მორჩით თქვენ საქმეს. ჰხედავთ გვიანდება.

ცოტა ხნის შემდეგ ვანო მიუახლოვდა ვაროს და ფულ დაწყვეტით ჰკითხა:

— ვარო, ნუ თუ აღარ გიყვარვარ?

— მიყვარხარ ყველაზე უფრო ქვეყანაზე. მწამს, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილნი.

— მაშ თუ ესა გწამს ისიც უნდა გწამდეს, რომ მენშევიკური იდეა უფრო მტკიცე და პატიოსნურია ვიდრე ბოლშევიკური.

— ამაზე კი უკაცრავათ.

— თუ უკაცრავათ და მეც უკაცრავათ. არ მსურს ჯვარი დავიწერო.

გამობრუნდნენ მეფეც, პატარძალიც და ჩვენ კი დავრჩით გაოცებულნი.

— სად მირბიხართ? მივაძახეთ მათ, მაგრამ ისინი ცალკ-ცალკე მიეშურებოდნენ ეკლესიიდან.

— ახალ მოდის ხალხნი არიან ბატონებო, სთქვა გულ-დაწყვეტით მღვდელმა.

— ეს მაგალი იდეები თუნდ იდეები ა, მაგრამ მე ვის მოვთხოვო დღევანდელი ქორწილი და ჩემი თამადობა?

ვ ლ.

განცხადებები

რუსთაველის პროსპექტზე ნომერ 6-ში გაიხსნა

ევროპიულ-ქართული ტეხნიკური, სავაჭრო და სამრეწველო

კანტორა

„ევრ-ივერია"

კანტორის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ალმშენებლობის და მრეწველობის განვითარებას საქართველოში, კანტორას დამოკიდებულება აქვს გერმანიასთან და სულ მოკლე ხანში შეუძლიან მოწყობა წისქვილების, სადგურების, ქარხნების და ყოველივე სამრეწველო წარმოების.

კანტორამ უკვე მიიღო გერმანიიდან საშეურნეო და სხვა იარაღები.

2—2.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

ერთობის ქუჩა (ყოფილი კრუზენშტერნის)

„სიმართლე"

სერგო კახთელიძისა

მზადდება ყოველ დღე გემრიელი ქართული საჭმელები.

ლამპის შუშები

მუდმივ მეტალლიურ ჩარჩოში

ყალბი დამზადება აკრძალულია

მთავარი საწყობი (ბითუმად და ცალ-ცალკე)

მთელი კავკასიისთვის არის

ნ. ლგოტაკის

მაღაზიაში

მისამართი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 3

საჭიროა ყველგან გამყიდველები

მინები ფოლეპისთვის და სამარგე ავტომობილისათვის.

3—3

ლაბორატორია

„მაშუკა"

წარმოების საგანი:

1. კბილის პარაშოკი „შემშუენა"
2. სამღვარის მაზი „პრიალა"
3. საპნის პუდრა.
4. ოდეკოლონი და დუხი.

მოითხოვეთ ყველგან.

გაყიდვა: ყორღანოვის ქუჩა № 18, მეორე სართული, ბინა № 3. ტელ. 8—26.

3 1/2-საათიდან — 4 1/2-მდე.

2—2.

ფ. დ. გოგელია

სამანუფაქტურო და სხვა საქონლის გამყიდველი

კანტორა

დამფ. კრების და ნიკოლაევის ქუჩების კუთხე № :

ჩრდილოეთის ნომრების პირდაპირ.

2—4.

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

„სახალხო"

თბილისი, ქარვასლა თამამშევისა.

2—2.

ყირიმის ბოლო.

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი ეღირება 50 მან.

ჟურნალში დაიბეჭდება **განცხადებები** შედავათიან ფასებში. რედაქციაში შეიძლება შეძენა აგრეთვე დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მომწერ-ლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ბრო-ბექტი, № 24. ეშმაკის მათრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღია 9—2 საათამდე.

საქართველოს სახალხო რკინის გზის. სტამბა-ლიტოგრაფია